

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2010 წლის 17 აპრილის გაზეთ „24 საათში“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №5; №13 და №15 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №5; №13 და №15 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

ობიექტის №	ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი	საბაღო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა	აუქციონის საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ საწყისი ფასის 20% (ლარი)	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი)
5	გარდაბანი, სოფ. ალთალა	მდ. მტკვარზე „ყარათალას“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	93 000 მ <sup>3</sup>	12 470	2 494	1 204,20
13	ნინოწმინდა, სოფ. დილითი	„დილითის“ კულკანური წიღის გამოვლინება	P	5 წელი	104 000 მ <sup>3</sup>	10 000	2 000	1 259,40
15	ახალქალაქი, სოფ. აბული	„კარტიკამის“ ანდეზიტო-დაციტის (ლორღი) გავლინება	P	5 წელი	15 500 მ <sup>3</sup>	10 000	2 000	1 145,40
აუქციონის ჩატარების ადგილი			საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურას ქ.№12ტელ. 99 11 29, 99 10 91 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.					
ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.			<b>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:</b> ერთიანი ანგარიში არასავადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069					
ლოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი			<b>„ბე“-ს გადახდის ანგარიში:</b> ერთიანი ანგარიში არასავადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000					
აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებული არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური			<b>სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“:</b> ს/ს „პროკრედიტ ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691					

<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია</p>	<p>განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.  ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.  ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.  გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.  დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.  ე),ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.</p>
<p>თანხის გადახდის პირობები</p>	<p>აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.  მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.</p>
<p>სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები</p>	<p>დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები.</p>
<p><b>აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს</b></p>	
<p>გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები</p>	<p>გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.</p>